ანასტასია ახვლედიანი
ANASTASIA AKHVLEDIANI

ანასტასია ახვლედიანი (1996) ახალგაზრდა ხელოვანია. დაამთავრდა თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა (VA[A]DS) 2018 წელს. მის შემოქმედებაში ფერწერას წამყვანი როლი აქვს, თუმცა ხელოვანი აქტიურად ექსპერიმენტირებს სხვადასხვა მასალით. მათ შორის დაკავებულია ფერწერის წარმოჩენის ექსპერიმენტული ხერხების ძიებითაც. ანასტასიას შემოქმედება ხშირად ეხება სოციალურ თემებს, ქალებისა და უმცირესობების უფლებებს, განიხილავს პოსტ-საბჭოთა საქართველოს რეალობებს. რეზიდენციის განმავლობაში ანასტასიამ გადაწყვიტა ემუშავა აბსტრაქტულ ფორმებზე, რომელიც ინსპირირებულია არქიტექტურული დეტალებით. შემდეგ კი შექმნა სამგანზომილებიანი ობიექტი, რომელშიც ორგანული ფორმები, პირადი სიმბოლიზმი და ფანტასმაგორიული ელემენტებია ერთმანეთთან შერწყმული.

Anastasia Akhvlediani (b. 1996) is a young artist. She graduated from the Free University School of Visual Arts, Architecture and Design (VA [A] DS) in 2018. Painting plays a leading role in her work; however, the artist actively experiments in different media and among them explores experimental ways of presenting painting. Anastasia's work often deals with social issues, the rights of women and minorities, discusses the realities of post-Soviet Georgia and challenges inviolable cultural archetypes. During her residency Anastasia decided to work on abstract forms inspired by architectural elements. She then created a three-dimensional object in which organic forms, personal symbolism, and phantasmagorical elements are combined.

ანასტასია, როგორ მიხვედი შენს შემოქმედებასთან?

9 წლის ასაკში ბავშვების სახელოვნებო კლასის გამოფენას ვეწვიე. დედას ვთხოვე, რომ მეც ჩავეწერე ამ კლასში შემდეგი სემესტრისთვის. მუდმივად შემოქმედებით პროცესში ვიყავი. ვფიქრობ, მაშინ ვიგრძენი უდიდესი სურვილი გამომეხატა საკუთარი თავი. 9 წლის ასაკში ეს ერთადერთი გზა იყო და მგონი დღემდე ასეა.

ANASTASIA, HOW DID YOU COME TO YOUR CHOICE OF ARTISTIC ACTIVITY?

I was 9 when I visited an exhibition of kids' art class. I asked my mom to sign me up for next semester, since I never stopped doing art. I think I felt an enormous urge to express myself. At nine years old, art was the only way, and I guess still is the only way.

შეგიძლია ისაუბრო ბებიასა და მის შემოქმედებაზე?

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის ნამდვილად შეიცვალა. ბებიაჩემი ლალი ჩვეულებრივი ქართველი დიასახლისი იყო. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქიმიის დეპარტამენტში მუშაობდა. გაზარდა 3 ქალიშვილი და 5 შვილთაშვილი. ამავდროულად, ის აცხობდა კიდეც. ლალი კრეატიული ადამიანია და ამას გამოხატავდა დიასახლისობაში, ცხობასა და ქსოვაშიც. მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე გარდაიცვალა და ჩვენც გავიზარდეთ, ბებიას ბევრი დრო დარჩა საკუთარი თავისთვის. მან დაიწყო სამკაულებისა და სახლის დეკორაციების კეთება. ბოლო დროს ხატვაც. ამიტომაა, რომ დღეს ის ჩემთვის არა მარტო მზრუნველი ბებია, არამედ ერთ-ერთ გამორჩეული Outsider ხელოვანიცაა.

COULD YOU PLEASE TELL US ABOUT YOUR GRANDMA AND HER ART?

The way I see her has definitely changed in the last couple of years. My Grandmother Lali was a typical Georgian housewife; she had a job in the chemistry department at Georgian Technical University, raised three daughters and five grandchildren and also had baking as her side job. She is a very creative person and expressed her creativity through her housework, baking, and sewing. Since her husband died, and we all grew up, she has had a lot of time for herself. She started making this extraordinary jewellery and home wdecorations, and lately she also started painting. That is why today I see her not only as a caring Grandmother but also as one of the best outsider artists.

რა ტიპის ხელოვნება მოგწონს? როგორი სტილი ან ტექნიკა

ყველანაირი ხელოვნება მომწონს. ჩემთვის მნიშვნელოვანი ისტორიაა, რომელსაც ის ყვება. ვიტყოდი, რომ მაინტერესებს ისტორიები და ის გზები, რომლითაც მას ყვებიან.

WHAT KIND OF ART DO YOU LIKE? STYLES, TECHNIQUES

I think I like all kinds of art. In an artwork or in installations, the most important for me is the story it tells. I would say I care about stories and the ways we use to tell them.

შეგიძლია აღწერო ქართული კულტურა?

ქართული კულტურა ძალიან მრავალფეროვანია. მას აქვს ბევრი შრე და შესაძლებლობა განვითარებისთვის. მართალია ბოლო 10 წლის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია ჩამოყალიბდა, ახლა კრიზისია ქვეყანაში საერთაშორისო თუ ადგილობრივი პოლიტიკის გამო.

COULD YOU DESCRIBE GEORGIAN CULTURE?

Georgian culture is very diverse and has many layers and possibilities for development. Although in the last ten years many significant institutions have been established, now it is in a period of crisis due to local political and global situations.

რომელი ქართველი ხელოვანები არიან შენთან ყველაზე ახლოს? და რით არიან ახლოს?

ძალიან რთული კითხვაა, რადგან ის ხელოვანი, რომელიც შთამაგონებს, მუდმივად იცვლება. ბოლოს სოლიკო ვირსალიძის რეტროსპექტიულ გამოფენას ვეწვიე. მისმა ნამუშევრებმა მომხიბლეს და შთამაგონეს.

WHICH GEORGIAN ARTISTS ARE MORE OR LESS CLOSE TO YOU? AND HOW?

It’s a very hard question for me, the list of inspirational artists always changes for me. Recently I visited Soliko Virsaladze’s retrospective exhibition, his works really inspired me.